საგარეო ვაჭრობის მიმდინარე ტენდენციები საქართველოში

თეიმურაზ გვეტაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მოწვეული სპეციალისტი
აუდიტის, შპს „აუდიტ ენდ ქონსალტინგ გრუპ“

ABSTRACT

Introduction and aim: The article is dedicated to the current trends in foreign trade in Georgia. The study of the essence and features of foreign trade relations is particularly important in determining the level, dynamics and development trends of foreign trade events and processes, as well as in the analysis and assessment of the current situation. As we know, Georgia is a country with a small economy, located on strategic trade routes, which means that deepening economic relations with trade partner countries is a necessary condition for its development. How open a country is economically, first of all, it is expressed in the volume of foreign trade. Since the restoration of independence, Georgia has had a negative trade balance, i.e. imports exceed exports, which requires a regular analysis of the results of Georgia's foreign trade and relations with trade partner countries.

Research methodology: Both statistical-mathematical and comparative analysis methods were used in the research, which are based on the materials of the State Department of Statistics and the Ministry of Foreign Affairs of Georgia.

Results and implications: Based on the results of the research, first of all it will be possible to analyze the administrative barriers on the trade route. Proposals are presented to improve the legal framework in order to avoid duplication and evaluation of mechanisms. Eventually, all of this will come together in a unified information system, which will facilitate access to information by foreign trade entities. Foreign trade entities will be allowed to receive information in advance on tax rates imposed on specific goods, necessary permits, licenses, procedures for obtaining them according to individual types of goods, and statistical data on the products of this type of goods. According to the theories of foreign trade relations, free trade increases the prosperity of the country. Its positive effects can be considered the growth of production and consumption, the rapid achievement of the optimal size of the enterprise and the innovations created by the growing competition. The main orientation of the field of application of the result is the entities working in foreign trade and interested in the future, but this system can be used by all persons who are interested in this aspect.

The main orientation of the field of application of the result is subjects working in foreign trade and interested in the future. But it can be used by all those who are interested in this field.

Conclusion: One of the main tasks of Georgia's foreign trade is the formation/deepening of close, mutually beneficial partnership cooperation with European countries, which is of particular importance for the country. Further deepening of bilateral political, economic, cultural, humanitarian and social relations with European countries is noteworthy. In order to overcome the negative trade balance (deficit) of Georgia, it is appropriate to raise the domestic and international competitiveness of domestic products and thereby increase the domestic and foreign demand for it, i.e. more: export, diversification, optimization, re-export, reasonable import, as well as more: foreign direct investments, remittances and International tourist. This recipe for improving the trade balance should be adjusted taking into account the specifics of each partner country. As a result of all this, we think that the negative balance will gradually decrease and we will get a positive trade balance. In conclusion, it can be said that due to such frequent changes in foreign trade during these years, today Georgia has one of the most liberal trade policies in the world, which implies a simplified foreign trade regime and customs procedures.

Keywords: Foreign trade, export, import, trade turnover, negative trade balance, partner country.

შესავალი და მიზანი: სტატია ეძღვნება საგარეო ვაჭრობის მიმდინარე ტენდენციებს საქართველოში. საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არსისა და თავისებურებების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენაში, ასევე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საკითხებში. როგორც ვიცით, საქართველო მცირე ეკონომიკის მქონე, სტრატეგიულ სავაჭრო გზებზე მდებარე ქვეყანაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გა-

ნვითარებისთვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს აუცილებელ პირობას. რამდენად არის ღია ქვეყანა ეკონომიკურად, პირველ რიგში, ეს საგარეო ვაჭრობის მოცულობაში გამოიხატება. დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული საქართველოს აქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, ანუ იმპორტი აღემატება ექსპორტს, რომლის გასაუმჯობესებლად საჭიროა საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგებისა და და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების რეგულარული ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისას გამოყენებული იქნა, როგორც სტატისტიკურ-მათემატიკური ასევე შედარებითი ანალიზის მეთოდები, რაც ეყრდნობა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მასალებს.

შედეგები და გამოყენება: კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, პირველ რიგში შესაძლებელი გახდება სავაჭრო გზაზე არსებული ადმინისტრაციული ბარიერების ანალიზი. წარმოდგენილია წინადადებები სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით, რათა თავიდან იქნას აცილებული მექანიზმების მოქმედების დუბლირება და შეფასება. საბოლოოდ, ეს ყველაფერი თავს მოიყრის ერთიან საინფორმაციო სისტემაში, რაც გაადვილებს საგარეო ვაჭრობის სუბიექტების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საგარეო ვაჭრობის სუბიექტებს საშუალებას მისცემს წინასწარ მიიღონ ინფორმაცია კონკრეტულ საქონელზე დაწესებული საგადასახადო განაკვეთების, საჭირო ნებართვების, ლიცენზიების, მათი მოპოვების პროცედურების თაობაზე ცალკეული სასაქონლო სახეობების მიხედვით და სტატისტიკურ მონაცემებს ამ სასაქონლო სახეობის პროდუქციის შესახებ. საგარეო სავაჭრო ურთიერთობების თეორიების შესაბამისად თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის კეთილდღეობას ამაღლებს. მის დადებით ეფექტებად შესაძლებელია ჩაითვალოს წარმოებისა და მოხმარების ზრდა, საწარმოს ოპტიმალური სიდიდის სწრაფი მიღწევა და ზრდადი კონკურენციით შექმნილი ინოვაციები. შედეგის გამოყენების სფეროს მთავარი ორიენტირი არის საგარეო ვაჭრობაში მომუშავე და მომავალში დაინტერესებული სუბიექტები, მაგრამ ეს სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა იმ პირის მიერ, რომელიც დაინტერესებულია ამ კუთხით.

შედეგის გამოყენების სფეროს მთავარი ორიენტირი არის საგარეო ვაჭრობაში მომუშავე და მომავალში დაინტერესებული სუბიექტები. მაგრამ ეს შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა იმ პირის მიერ, რომელიც დაინტერესებულია ამ კუთხით.

დასკვნა: საქართველოს საგარეო ვაჭრობის ერთ - ერთ მთავარ ამოცანას ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო, ურთიერთსასარგებლო პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება/გაღრმავება წარმოადგენს, რომელსაც ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყურადღსაღებია, ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ჰუმანიტარული და სოციალური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო სალდოს (დეფიციტის) დაძლევისთვის მიზანშეწონილია სამამულო პროდუქციის საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამით მასზე საშინაო და საგარეო მოთხოვნის ზრდა, ანუ მეტი: ექსპორტი, დივერსიფიკაცია, ოპტიმიზაცია, რეექსპორტი, გონივრული იმპორტი, ასევე, მეტი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები და საერთაშორისო ტურისტი. სავაჭრო ბალანსის გაჯანსაღების ეს რეცეფტი უნდა კორექტირდეს ყოველი პარტნიორი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობთ, ეტაპობრივად შემცირდება უარყოფითი სალდო და მივიღებთ დადებით სავაჭრო ბალანსს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ წლების განვალობაში საგარეო ვაჭრობის ასეთი ხშირი ცვლილებიდან გამომდინარე დღესდღეობით საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს.

საკვანძო სიტყვები: საგარეო ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო ბრუნვა, უარყოფითი სავაჭრო სალდო, პარტნიორი ქვეყანა.

საგარეო ვაჭრობის არსი და თავისებურებები

საგარეო ვაჭრობა ექსპორტ - იმპორტის წესით ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთგაცვლაა, ურთიერთხელსაყრელ პირობებში ყიდვა - გაყიდვის გზით. საგარეო ვაჭრობა სპეციფიკური სფეროა, რომლის მიმდინარეობა და განვითარების პერსპექტივები დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაზე, არამედ მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ - ეკონომიკურ კურსზე და აქედან გამომდინარე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი თავისებურებებია:

- განსხვავება მობილურობაში. ქვეყნებს შორის რესურსების გადაადგილება უფრო რთულია, ვიდრე ქვეყნის შიგნით;
- თითოეული ქვეყანა განსხვავებულ ვალუტას იყენებს და იმისათვის, რომ სხვა ქვეყნიდან იმპორტირებული საქონლისთვის ანგარიშსწორება მო-

ახდინოს, ამ ქვეყნის ვალუტა უნდა შეიძინოს. ე.ი. თავისი ვალუტა სხვა ქვეყნის ვალუტაზე უნდა გაცვალოს;

- საგარეო ვაჭრობა ისეთ პოლიტიკურ ჩარევასა და კონტროლს ექვემდებარება, რომელიც თავისი ხარისხითა და ხასიათით მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რასაც საშინაო ვაჭრობაში იყენებენ და სხვა.

საგარეო ვაჭრობის ანალიზის საგანი არის იმ საქონლის მოცულობა და სახეები, რომლებიც კვეთენ საზღვარს, ასევე, საგარეო ვაჭრობის შესწავლისას საქმე გვაქვს საქონლის ისეთ მახასიათებლებთან, როგორებიცაა: ღირებულება, რაოდენობა, ფასი. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, კერძოდ კი, საგარეო ვაჭრობის მეცნიერული კვლევის პროცესში მრავალი მეთოდი გამოიყენება, ესენია ინდუქცია და დედუქცია (ჰიპოთეზის), მეცნიერული აბსტრაქცია, ანალიზი და სინთეზი. საგარეო სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობები ხასიათდებიან გარკვეულ მაჩვენებელთა სისტემით, რომელთა შორის გამოიყოფა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მახასიათებლები. მათ მიეკუთვნება: ექსპორტი, იმპორტი, ექსპორტ - იმპორტის ანუ საგარეო ვაჭრობის სალდო, საგარეო ვაჭრობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა (ესნ), დემპინგი, გენერალური ვაჭრობა, საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკის გახსნილობის რაოდენობრივი ინდიკატორები და სხვა. საქონლის ექსპორტი და იმპორტი არის კომერციული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ - ნივთობრივი ფორმით საქონლის ყიდვა - გაყიდვასთან. იმის გამო, რომ ერთი ქვეყნიდან მეორეში საქონლის გადაადგილება მხედველობით აღიქმება, ზოგჯერ მათ „ხილულ" ექსპორტს და იმპორტს უწოდებენ.

საქართველოს სავაჭრო – ეკონომიკური ურთიერთობები.

საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას, პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და კულტურის სფეროებში.

მნიშვნელოვანია მჭიდრო პარტნიორობის გაგრძელება ბულგარეთის რესპუბლიკასთან და რუმინეთთან. მათთან ურთიერთობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სავაჭრო ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობას, მათ შორის სატრანსპორტო ენერგეტიკული სატრანზიტო დერეფნის განვითარებასა და ერთობლივი ეკონომიკური და საინვესტიციო პროექტების განხორციელებას.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია კეთილმეზობლური ურთიერთობების გაგრძელება ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, რომლის როლი მნიშვნელოვანია, რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საქართველო ესწრაფვის ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რომელიც შედის საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა ხუთეულში. საქართველოს ამოცანაა ჩინეთთან პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარება, მათ შორის ჩინეთის ბაზარზე საქართველოს პროდუქციის ექსპორტის მოცულობისა და ქართულ ბაზარზე ჩინური ინვესტიციების მოცულობის გაზრდის კუთხით.

ურთიერთობების პრიორიტეტული მიმართულებაა ასევე თანამშრომლობა „ახალი აბრეშუმის გზის" პროექტის აღორძინების კუთხით, რათა სრულად იქნას გამოყენებული საქართველოს, როგორც აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ტრადიციული სატრანზიტო დერეფნის პოტენციალი.

2023 წლის საგარეო-ვაჭრობის ტენდენციები

2023 წლის იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 6 493.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.9 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 1 962.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (გაიზარდა 23.6 პროცენტით), ხოლო იმპორტი 4 531.0 მლნ. აშშ დოლარს (გაიზარდა 21.2 პროცენტით). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2023 წლის იანვარ- აპრილში, 2 568.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39.6 პროცენტია.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება, 2020-2023 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2021-2023 წლებში ექსპორტ-იმპორტის ყოველთვიურ

დინამიკას აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ასევე მათ პროცენტულ ცვლილებას წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2023 წლის იანვარი–მაისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თითქმის 19%-ით გაიზარდა და 8,4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (არაორგანიზებული ვაჭრობის გაუთვალისწინებლად), ნათქვამია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის" მასალებში.

საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში 5,8 მლრდ დოლარის ღირებულების პროდუქციის იმპორტი გა-



საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2023 წლის იანვარი–მაისი

მაჩვენებელი	მოცულობა, მლნ დოლარი	ზრდა, %
ექსპორტი	2500.3	18.5
იმპორტი	5859.7	19.1
სულ	**8360.0**	**18.9**

ნხორციელდა – 2022 წლის იანვარი–მაისთან შედარებით 19,1%-ით მეტი.

ექსპორტმა შეადგინა 2,5 მლრდ დოლარი, რაც 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 18,5%-ით მეტია.

2023 წლის დასაწყისიდან უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 3,4 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც 2022 წლის ხუთი თვის მაჩვენებელთან შედარებით 19,5%-ით მეტია.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, 32,8%-ით გაიზარდა და 19 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა (არაორგანიზებული ვაჭრობის გაუთვალისწინებლად), ხოლო ქართული პროდუქცია გასულ წელს დაახლოებით 5,6 მილიარდი დოლარის ოდენობით იყო ექსპორტირებული – თითქმის 32%-ით მეტი 2021 წელთან შედარებით.

გასულ წელს ქვეყანაში 13,5 მლრდ დოლარის ღირებულების პროდუქციის იმპორტი განხორციელდა, რაც 2021 წელთან შედარებით 33,2%-ით მეტია.

ასევე განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული მთავრობის მიერ გატარებულ შემდეგ ზომებზე:

- ვაჭრობაში გამჭვირვალობის ეფექტიანი უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი მარეგულირებელი და პროცედურული ზომების გამოქვეყნებით.





- სავაჭრო დოკუმენტების ონლაინ გაცემა;
- შესაბამისმა უწყებებმა გაზარდეს ძალისხმევა ვაჭრობაში ჩართული სუბიექტებისთვის სხვადასხვა სახის საჭირო დოკუმენტების დაჩქარებულ რეჟიმში გასაცემად;
- სასაზღვრო კონტროლი ხორციელდებოდა ეფექტიანი რისკზე დაფუძნებული ინტეგრირებული საზღვრის მართვის სისტემით.
- სასაზღვრო კონტროლის პუნქტების განტვირთვის მიზნით განხორციელდა ტვირთების ფიზიკური ინსპექტირების რეალოკაცია.
- საბაჟო და გადასახადების გადახდა გაგრძელდა ონლაინ რეჟიმში, რასაც დაემატა გადასახადის დაბრუნების გამარტივებული პროცედურა.
- ტრანზიტული მოძრაობა კვლავ ეფუძნებოდა რეგიონული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებს და მეზობელ ქვეყნებთან მონაცემთა ელექტრონულ მიმოცვლას.

დასკვნის სახოთ შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველოსათვის მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ურთიერთ -ინტერესებზე დამყარებული სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებას, ასევე, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://forbes.ge/i-kvartalshi-saqarthvelos-sagareo-vachroba-22-it-gaizarda/ 2
2. https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12
3. https://bm.ge/ka/article/saqartvelo-da-tavisufali-vachrobis-xelshekrulebebi---mimoxilva/51105
4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba.